

## საქართველოს კანონი

### „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

#### მუხლი 1

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №13(20), 1999 წ., მუხ. 52) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) რომელსაც ჩაბარებული აქვს აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდა ან მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო ან სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით ან ჩაბარებული აქვს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა ან ადვოკატთა ტესტირება საერთო ან სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით ან აქვს სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი და წარმატებით აქვს გავლილი სტაჟირება აღსრულების ეროვნული ბიუროს სისტემაში ან გავლილი აქვს აღმასრულებლის სასწავლო კურსი, მიღებული აქვს სერტიფიკატი და წარმატებით აქვს გავლილი სტაჟირება აღსრულების ეროვნული ბიუროს სისტემაში ან აქვს აღმასრულებლის მოვალეობის შემსრულებლად მუშაობის არანაკლებ 6 თვის გამოცდილება.“

2. 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) კრედიტორისა და მოვალის დასახელებები და რეკვიზიტები, მათ შორის, პირადი ნომრები ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრები, ასევე სააღსრულებო ფურცლის გამცემი ორგანოსათვის ცნობილი სხვა საკონტაქტო მონაცემები. ეს წესი არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებისას.“

3. 28-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. წინადადება მოვალეს ჩაბარდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. აღმასრულებელი მოვალისათვის წინადადების ჩაბარებისას აფრთხილებს მას ნებაყოფლობითი აღსრულების ვადის გასვლისთანავე იძულებითი აღსრულების დაწყების და საფასურის დაკისრების შესახებ. ამ ვადაში გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შემთხვევაში მოვალეს ეკისრება მხოლოდ ამ კანონის 38-ე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი საფასურის

კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილი შესაბამისი ნაწილი, რაც ამ კანონის მე-18 მუხლით დადგენილ უფლებებთან ერთად ასევე განემარტება მოვალეს.“.

4. 28<sup>1</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 28<sup>1</sup>. აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შემთხვევაში განაჩენით დაკისრებული ჯარიმის აღსრულების წესი**

აღმასრულებელი ვალდებულია სააღსრულებო ფურცლის სააღსრულებო ბიუროში წარდგენიდან 10 დღის ვადაში, მსჯავრდებულის და გირაოს შემტანის წერილობითი თანხმობის საფუძველზე (ხოლო თუ გირაოს შემტანი თავად მსჯავრდებულია ან გირაოს თანხა შეტანილია მსჯავრდებულის სახელით – მისი თანხმობის გარეშე), მოახდინოს აღსრულება გირაოს სახით სააღსრულებო ბიუროს სადებოზიტო ანგარიშზე შეტანილ ფულად თანხაზე ამ კანონით დადგენილი წესით.“.

5. 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, აღსრულებისათვის მიღებული ყველა ღონისძიება უქმდება.“.

6. 38-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. თანხის გადახდევინებისას საფასურის ოდენობაა აღსასრულებელი მოთხოვნის 7% (არანაკლებ 50 ლარისა, თუ აღსასრულებელი მოთხოვნა აღემატება 50 ლარს). კრედიტორი სააღსრულებო ფურცლის სააღსრულებო ბიუროში შეტანისას იხდის: აღსასრულებელი მოთხოვნის 2%-ს (არანაკლებ 50 ლარისა, თუ აღსასრულებელი მოთხოვნა აღემატება 50 ლარს), თუ აღსასრულებელი, უზრუნველყოფილი მოთხოვნა ტოლია ან აღემატება 50 ათას ლარს – მოთხოვნის 1,5%-ს, ხოლო თუ აღსასრულებელი, უზრუნველყოფილი მოთხოვნა ტოლია ან აღემატება 100 ათას ლარს – მოთხოვნის 1%-ს, რომელიც უბრუნდება მას ამოღებული მოთხოვნის პროპორციულად. კრედიტორი ფიზიკური პირის (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა) მიერ აღსრულების საფასურის წინასწარ გადასახდელი ნაწილი, მიუხედავად აღსასრულებელი მოთხოვნის ოდენობისა, არ უნდა აღემატებოდეს 5 ათას ლარს. საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შესაბამის სააღსრულებო ბიუროს, რაც იძულებითი აღსრულების დაწყების საფუძველია.“.

7. მე-40 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის კრედიტორის სასარგებლოდ იძულებითი აღსრულების განხორციელებისას, თუ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადების დროს ან ყადაღის დადების შემდეგ, მოგირავენე განაცხადებს ამ ქონებაზე თავის უფლებას და აღმასრულებელს წარუდგენს გირაონობის უფლების დამადასტურებელ ამონაწერს შესაბამისი რეესტრიდან, აღმასრულებელი ათავისუფლებს ამ ქონებას ყადაღისაგან.“.

8. 71-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 71. იძულებითი აუქციონის ჩატარების წესი**

იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმები, წესი და მასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.“.

9. 72-ე-74-ე მუხლები ამოღებულ იქნეს.

10. 76<sup>1</sup> მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
**„მუხლი 76<sup>1</sup>. ნივთის რეალიზაცია“.**

11. 76<sup>1</sup> მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. თუ განმეორებით აუქციონზე არ მოხდა ნივთის რეალიზაცია, მაშინ აუქციონი აღარ გაიმართება და კრედიტორს ეძლევა წინადადება ამ კანონის 77<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში ნივთის ნატურით მიღების შესახებ. ნივთის ნატურით მიღების თაობაზე კრედიტორის განცხადების წარმოდგენამდე ნივთის რეალიზაცია შეიძლება მოხდეს განმეორებითი აუქციონისათვის დადგენილ საწყის ფასად, ამ მუხლის მე-2–მე-5 პუნქტებით განსაზღვრული წესით.“.

12. 77-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

13. 77<sup>1</sup> მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ნივთის ნატურით გადაცემისას:

ა) თუ მოთხოვნა აღემატება ან უცტოლდება ნივთის ღირებულებას, კრედიტორი (სახელმწიფო ორგანოს გარდა) ფარავს საფასურის დარჩენილ ნაწილს ნივთის ღირებულების პროპორციულად (ღირებულების 5%-ის ოდენობით), თუ უზრუნველყოფილი მოთხოვნა ტოლია ან აღემატება 50 ათას ლარს – ნივთის ღირებულების 4%-ის ოდენობით, თუ უზრუნველყოფილი მოთხოვნა ტოლია ან აღემატება 100 ათას ლარს – ნივთის ღირებულების 3%-ის ოდენობით, ხოლო თუ უზრუნველყოფილი მოთხოვნა ტოლია ან აღემატება 500 ათას ლარს – ნივთის ღირებულების 2%-ის ოდენობით.

ბ) ერთზე მეტი არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის კრედიტორისათვის ნივთის ნატურით გადაცემისას ამ ნივთზე წარმოიშობა საერთო საკუთრება. საერთო საკუთრებაში თითოეული კრედიტორის წილი განისაზღვრება მათი მოთხოვნების პროპორციულად. ასეთ შემთხვევაში, საფასურის დანარჩენ ნაწილს ფარავს თითოეული კრედიტორი თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად. თუ ერთზე მეტი არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის კრედიტორიდან ნივთის ნატურით მიღების სურვილი გამოთქვა ერთ-ერთმა (რამდენიმემ), ნივთის მიმღები კრედიტორი ფარავს საფასურის დარჩენილ ნაწილს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად, აგრეთვე ნივთის ღირებულებასა და ნივთის მიმღები კრედიტორის მოთხოვნასა და გადახდილი საფასურის ჯამს შორის სხვაობას (ასეთის არსებობისას), რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით მიემართება აღსრულების განმახორციელებელი სხვა კრედიტორების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;

გ) ერთდროულად ერთზე მეტი იპოთეკარის მიერ უძრავ ნივთზე იძულებითი აღსრულების განხორციელების შემთხვევაში, ამ ნივთის ნატურით გადაცემის

მოთხოვნის უპირატესი უფლება აქვს აღსრულების განმახორციელებელ იპოთეკართაგან (იპოთეკარებისაგან, რომელთა სასარგებლოდაც ჩატარდა აუქციონი) წინა რიგის იპოთეკარს, ხოლო ამ კანონის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების აღსრულებისას – პირველ რიგში შესაბამის სახელმწიფო ორგანოს. ნივთის მიმღები იპოთეკარი (შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს გარდა) ფარავს საფასურს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად: თუ აღსასრულებელი, უზრუნველყოფილი მოთხოვნა ტოლია ან აღემატება 50 ათას ლარს – აღსრულებული მოთხოვნის 4%-ის ოდენობით, თუ აღსასრულებელი, უზრუნველყოფილი მოთხოვნა ტოლია ან აღემატება 100 ათას ლარს – აღსრულებული მოთხოვნის 3%-ის ოდენობით, ხოლო თუ აღსასრულებელი, უზრუნველყოფილი მოთხოვნა ტოლია ან აღემატება 500 ათას ლარს – აღსრულებული მოთხოვნის 2%-ის ოდენობით. ნივთის მიმღები ყველა იპოთეკარი ფარავს აგრეთვე ნივთის ღირებულებასა და ნივთის მიმღები იპოთეკარის მოთხოვნასა და გადახდილი (შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს შემთხვევაში – გადახდისაგან განთავისუფლებული) საფასურის ჯამს შორის სხვაობას (ასეთის არსებობისას), რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით მიიმართება აღსრულების განმახორციელებელი სხვა კრედიტორების (მათ შორის, არაუზრუნველყოფილი კრედიტორების) მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

7. არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის კრედიტორისათვის ნივთის ნატურით გადაცემისას ამ ნივთზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლებები უცვლელი რჩება.“.

14. 95-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

15. 113-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 23-ე და 24-ე პუნქტები:

„23. 2010 წლის 1 ივლისამდე სააღსრულებო ბიუროების მიერ წამოებაში მიღებულ საქმეებზე, უზრუნველყოფილი მოთხოვნის კრედიტორების მიერ აღსრულების საფასურის წინასწარ გადასახდელი ნაწილის გადახდა, აგრეთვე უზრუნველყოფილი მოთხოვნის კრედიტორებისათვის ნივთის ნატურით გადაცემა განხორციელდეს 2010 წლის 1 ივლისამდე არსებული წესით.

24. 2010 წლის 1 ივლისამდე სააღსრულებო ბიუროების მიერ წამოებაში მიღებული სააღსრულებო საქმეები, რომლებზეც დანიშნულია იძულებითი აუქციონი, დასრულდეს 2010 წლის 1 ივლისამდე არსებული წესით.“.

## **მუხლი 2**

ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 ივლისიდან.